

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ბაზაზე არსებული სასწავლო-კვლევითი კლასტერის ფარგლებში
COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულ მოვლენებზე განხორციელებულ
აკადემიურ ღონისძიებათა შესახებ

ანგარიში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფარგლებში COVID 19 პანდემიაზე, მის გამოწვევებსა და პანდემიით შექმნილ მსოფლიო კრიზისთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრზე აკადემიური ღონისძიებების ორგანიზება 2020 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი და მასთან არსებული სასწავლო-კვლევითი კლასტერია, რომელიც აქტიურად ჩაერთო აღნიშნულ თემატიკაზე საერთაშორისო სამეცნიერო ინტერდისციპლინურ დისკუსიაში. კლასტერი საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში არა მხოლოდ ერთ-ერთი პირველი მონაწილე გახდა COVID 19 პანდემიასთან დაკავშირებული საერთაშორისო აკადემიური ღონისძიებებისა, არამედ თავადაც გახდა ამ ტიპის ღონისძიებების ორგანიზატორი. კლასტერის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოიცავს როგორც აკადემიურ, ისე ფართო საზოგადოებაზე მიმართულ საჯარო დისკუსიებს, ინტერვიუების ციკლს, ონლაინ კონფერენციის, ე.წ. ვებინარის ტიპის აქტივობებს, ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებისა და ახლოგარდა მკვლევრებისა და დოქტორანტების აქტიური მონაწილეობით. გარდა ამისა, სასწავლო-კვლევითი კლასტერის ორგანიზებით, შეიქმნა ერთ-ერთი პირველი ქართულენოვანი კრებული, რომელიც აერთიანებს როგორც უცხოელი, ისე ქართველი მეცნიერების მოსაზრებებსა და პერსპექტივებს პანდემიით შექმნილ კრიზისთან დაკავშირებულ პოლიტიკურ, სოციალურ, მორალურ და ეთიკურ გამოწვევებზე.

ქვემოთ გთავაზობთ კლასტერის ფარგლებში განხორციელებული ექვსი ღონისძიების აღწერილობას და დეტალურ ინფორმაციას მათ შესახებ.

1. ონლაინ საუბარი: „საზოგადოების განვითარება პოსტკრიზისულ პერიოდში“ (<https://gtu.ge/News/14812/>)

ღონისძიების ჩატარების თარიღი: 13.05.2020

მონაწილეები:

პროფ. მარკუს გაბრიელი¹ (Prof. Dr. Markus Gabriel) - ბონის უნივერსიტეტი (გერმანია)

¹ <https://www.philosophie.uni-bonn.de/de/personen/professoren/prof.-dr.-markus-gabriel-2>

პროფ. დავით გურგენიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) რექტორი

პროფ. მამუკა ბერიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; სასწავლო-კვლევითი კლასტერის ხელმძღვანელი.

ილია მარჯანიძე - საქართველოს საგანგებო და სრულყოფილებიანი დესპანი ავტრიის რესპუბლიკაში; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი.

საუბრის თემა: COVID 19: გამოწვევები და მომავლის საზოგადოების ხედვები

საუბრის სრული ვერსია:

https://gtu.ge/pdf/25.05.2020_d_gurgenidze_online_saunbari.pdf

2. დოქტორანტთა კოლოკვიუმში: COVID 19-ის პანდემიით შექმნილი პრობლემები და გამოწვევები (<https://gtu.ge/News/16135/>)

ღონისძიების ჩატარების თარიღი: 19.10.2020

ორგანიზატორი: პროფ. დავით გურგენიძე (სტუ რექტორი)

მონაწილეები: სტუ დოქტორანტები და ახალგაზრდა მკვლევრები: გიორგი კაშიბაძე, გიორგი ბერიაშვილი, ელიზაბეტ ლომსიანიძე, დავით გალაშვილი, ქეთევან რჩეულიშვილი და მარიამ ხაზარაძე.

საუბრის თემა: “COVID 19-ის პანდემიით შექმნილი პრობლემები და გამოწვევები”

საუბრის სრული ვერსია: https://gtu.ge/pdf/prezentaciaze_satqmeli_sityva_1.pdf

3. ონლაინ საუბარი: სოლიდარობის საკითხი ევროკავშირის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, Covid 19-ით გამოწვეული სირთულეების ფონზე

ღონისძიების ჩატარების თარიღი: 19.02.2021

ღონისძიების მოდერატორი: პროფ. მამუკა ბერიაშვილი, სტუ პროფესორი; სასწავლო-კვლევითი კლასტერის ხელმძღვანელი.

მონაწილეები: ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი (2017-2019), ევროპარლამენტის ინდუსტრიის კვლევებისა და ენერგეტიკის კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე, ვარშავის უნივერსიტეტის პროფ. ზდისლავ კრასნოდებსკი² (Zdzisław Krasnodebski), პროფ. დავით გურგენიძე (სტუ რექტორი), დოქტორი დავით მახვილაძე (სტუ ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახურის ხელმძღვანელი), ილია მარჯანიძე (საქართველოს საგანგებო და სრულყოფილებიანი დესპანი ავტრიის რესპუბლიკაში; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი).

საუბრის თემა: საქართველოს ევროპეიზაცია და ევროკავშირის ტრანსფორმაცია COVID-19 პანდემიის ფონზე.

² https://www.europarl.europa.eu/meps/en/124891/ZDZISLAW_KRASNODEBSKI/home

4. საზოგადოების “ავტორთა გაერთიანება პოლონეთის რესპუბლიკისთვის” (Stowarzyszenie Twórców dla Rzeczypospolitej³) და ევროკავშირის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ვიდეო კონფერენცია: “მწვანე გარიგება“ (Green Deal) - როგორ შეიძლება გარემოს რაციონალურად დაცვა? კონსერვატივიზმის ოიკოფილია” (“Der Grüne Deal - wie kann man die Umwelt rational schützen? Oikophilie des Konservatismus”)

ღონისძიების ჩატარების თარიღი: 29.01.2021

მონაწილეები საქართველოდან: პროფ. მამუკა ბერიაშვილი (სტუ) მოხსენებით: “ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის ეთიკური და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კონტექსტები”

კონფერენციის თემა: პანდემიის მიერ გამოწვეულ ცვლილებები ეკოლოგიის კონტექსტში

დამატებითი ინფორმაცია: <https://twitter.com/TworcyDlaRP/status/1354440185371635717/photo/1>
<https://twitter.com/TworcyDlaRP>

5. საზოგადოების “ავტორთა გაერთიანება პოლონეთის რესპუბლიკისთვის” (Stowarzyszenie Twórców dla Rzeczypospolitej⁴) და ევროკავშირის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო ვიდეო კონფერენცია: ტრიალოგი - პოლონეთი - გერმანია - საქართველო: “ევროპა პანდემიის პერიოდში: პანდემიის სოციალური, კულტურული და პოლიტიკური შედეგები” (“Europe in times of plague. Social, cultural and political consequences of the pandemic”)

ღონისძიების ჩატარების თარიღი: 5.03.2020

მონაწილეები საქართველოს მხრიდან: პროფ. მამუკა ბერიაშვილი (სტუ), ქეთევან რჩეულიშვილი (სტუ სასწავლო-კვლევითი კლასტერის წევრი დოქტორანტი), მარიამ ხაზარაძე (სტუ დოქტორანტი, სასწავლო-კვლევითი კლასტერის წევრი).

კონფერენციის თემა: “ევროპა პანდემიის პერიოდში: პანდემიის სოციალური, კულტურული და პოლიტიკური შედეგები”

დამატებითი ინფორმაცია: <https://twitter.com/TworcyDlaRP/status/1367822296694525954/photo/1>

საუბრის ვიდეო ჩანაწერი: <https://www.youtube.com/watch?v=MjXDy1qCi0A> (გერმანულ ენაზე)

<https://www.youtube.com/watch?v=e7Ue7ybzJx4> (ინგლისურ ენაზე)

³ <https://www.facebook.com/Stowarzyszenie-Tw%C3%B3rc%C3%B3w-dla-Rzeczypospolitej-316248551735341/>

⁴ <https://www.facebook.com/Stowarzyszenie-Tw%C3%B3rc%C3%B3w-dla-Rzeczypospolitej-316248551735341/>

6. კრებული “Covid 19: გამოწვევები: გლობალური და ეკოპული ახალი სოციალური წესრიგი” (გიორგი ბერიაშვილი, მარკუს გაბრიელი, დავით გურგენიძე), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2020.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფ. მამუკა ბერიაშვილი (სტუ პროფესორი, სასწავლო-კვლევითი კლასტერის ხელმძღვანელი), პროფ. ივანე ჯაგოდნიშვილი (სტუ პროფესორი, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი)

სამეცნიერო საბჭო: ანდრეას არნდტი, მამუკა ბერიაშვილი, მარკუს გაბრიელი, დავით გურგენიძე, თეო კობუში, ილია მარჯანიძე, გიორგი ლავთაძე, ივანე ჯაგოდნიშვილი, თამარ ცოფურაშვილი, თეონა ხუფენია.

დამატებითი ინფორმაცია: იხ. დანართი: კრებული/COVID 19.

გარდა ზემოთ აღნიშნული ღონისძიებებისა, სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული სასწავლო-კვლევითი კლასტერის ფარგლებში, დაგეგმილია სამომავლო სამეცნიერო მუშაობა პოლონელ და გერმანელ მეცნიერებთან და მკვლევრებთან ერთად. აპრილსა და მაისში იგეგმება მორიგი ვიდეო კონფერენციები (ტრიალოგები), თემებზე: “დემოკრატია უტოპიაა, თუ აქვს განვითარების პერსპექტივა?” და “თავისუფალი სახელმწიფო და დემოკრატიული კონსტიტუცია - პანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზე.” აღნიშნული აკადემიური ღონისძიებების შედეგების გამოქვეყნება იგეგმება პოლონურ სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში: **Kronos Philosophical Journal** (<https://kronos.org.pl/english/>).

პატივისცემით,



ივანე ჯაგოდნიშვილი

სტუ საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

მამუკა ბერიაშვილი

სტუ ფილოსოფიის პროფესორი,
სასწავლო-კვლევითი კლასტერის ხელმძღვანელი

